ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7980765

ნომერი: AR11148866

თარიღი : 22.06.2026

გაცემის თარიღი : 29.06.2026

გაცნობის თარიღი : 29.06.2026

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, კახეთის გზატკეცილი, N 195;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან კიკვაძე პ/ნ 60001009411
- ქუთაისი დ.აღმაშენებლის გამზ. N 136 ბ. 11

ორგანიზაცია:

- შპს ნაქა კოდი: 204418745

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღია ავტოსადგომის მოწყობა
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის

ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

სამსახურის ელექტრონულ ბაზაში ფიქსირდება წერილის ნომერი: 17-01173401454 თარიღი: 06.12.2017 გაცნობებთ, რომ ქ. თბილისი, სადგური ლილო, N51/სადგური ლილოს მიმდებარედ ს.კ 01.19.15.005.048 უნებართვოდ განთავსებული ლითონის კონსტრუქციის ნაგებობის თაობაზე შპს ,,ნაქა''-ს მიმართ დაწყებულ იქნა სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისწარმოება და გაიცა მითითება N003057

წარმოდგენილი ფოტოსურათების მიხედვით დგინდება რომ ღია ავტოსადგომის მოწყობის სამუშაოები ნაწილობრივ განხორციელებულია . კერძოდ : დგარები რომელზეც უნდა დამონტაჟდეს გადახურვა მოწყობილია (ამ ეტაპზე ვერ ხერხ დება ზემოაღნიშნული აქტი ამ საქმესთან დაკავშირებით არის გაცემული თუ არა), აღნიშნულის გათვალისწინებით საჭიროა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის სამსახურის შესაბამისი აქტის საფუძველზე მოხდეს უნებართვოდ მოწყობილი ძელების დემონტაჟი და წარმოდგენილი იქნას არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალაძელების დემონტაჟის შემდგომ ან წარმოდგენილი იქნას უნებართო სამშენებლო სამართალდაღრღვევასთან დაკავშირებით შესაბამისი აქტი და მის საფუძველზე კარიმის გადახდის ქვითარი.

ასევე ფოტომონტაჟის მიხედვით დგინდება რომ უშუალოდ საპროექტო შენობის განთავსების ადგილზე დაფიქსირებული მილგაყვანილობა(შესაბამის კონსტრუქციაზე დაყრდნობით) ამოღებულია შესაბამისად წარმოსადგენი ჯექნებათ აღნიშნული მილგაყვანილობის მესაკუთრის თანხმობა აღნიშნული მილგაყვანილობის დემონტაჟთან დაკავშირებით დამოწმებული შესაბამისი წესით;

"მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ"საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების თანახმად I კლასის შენობა-ნაგებობებისა და მშენებლობის განმსაზღვრელი მახასიათებლებია:

- 60 მ2მდე სართულების იატაკის დონეებზე განაშენიანების ჯამური ფართობის, 5 მ-მდე სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა;
შენობა-ნაგებობა, რომლის მალის, ფერმის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის სიგრძე ნაკლებია ან ტოლია 6 მ-ისა

გაითვალისწინეთ :საპროექტო ობიექტის ყველა მონაცემი შესაბამისობაში უნდა იქნას I კლასის შენობა-ნაგებობების პარამეტრებთან

საჭიროების შემთხვევაში, დაზუსტებული ინფორმაცია დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, გეცნობებათ მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით ატვირთული დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ, კანონით დადგენილ ვადაში.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.